სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

31 მაისი, 2024 წელი

# ბრძანება №01-02/72

## ბსუ-ს სამეცნიერო განყოფილების უფროსის შესარჩევ ღია კონკურსში საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) ელექტრონულად წარმოდგენის დადასტურების ცნობის ფორმის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/15 გადაწყვეტილების, 2024 წლის ივნისში ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის და სამეცნიერო განყოფილებების უფროსების შესარჩევი ღია კონკურსების ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 30 მაისის N01-10/61 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო განყოფილების უფროსის შესარჩევ ღია კონკურსში კონკურსანტის მიერ ელექტრონულად წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) საპროცედურო კომისიის მიერ ელექტრონულად დადასტურებისათვის გასაცემი ცნობის ფორმა, წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე („ველებში: „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“; „რექტორის ბრძანებები“ და ასევე სამეცნიერო განყოფილების უფროსის შესარჩევი ღია კონკურსის ველში - კონკურსის განცხადებაზე თანდართულ ფაილებში).
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს და სამეცნიერო განყოფილების უფროსებს..
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში

„ბსუ-ს სამეცნიერო განყოფილების უფროსის შესარჩევ ღია კონკურსში საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) ელექტრონულად წარმოდგენის დადასტურების ცნობის ფორმის დამტკიცების თაობაზე“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 31 მაისის N01-02/ 72 ბრძანების

N1 დანართი

## ცნობა № __________

საკონკურსო განაცხადის ელექტრონულად წარმოდგენის
დადასტურების შესახებ

ეძლევა ____________________________________________ მასზედ, რომ რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში ბსუ-ს პორტალის მოდულში **„სამეცნიერო განყოფილების უფროსის** ღია კონკურსი“- www.portal.bsu.edu.ge/jobs, **წარმოადგინა** ელექტრონულად **საკონკურსო განაცხადი** (ანკეტა) **შემდეგ საკონკურსო თანამდებობაზე:**

| ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - **ინსტიტუტის** და | **ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი** | **აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი** | **ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი** |
|---|---|---|---|
| **ამ ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - **განყოფილების დასახელება**<br><br>**(ვაკანტური თანამდებობა)** | 1. ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი - ☐<br>2. ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი- ☐<br>3. ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის განყოფილების უფროსი - ☐ | 1. აგრარული და კვების პროდუქტების ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი - ☐<br>2. მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი - ☐<br>3. ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი - ☐ | 1.ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილების უფროსი – ☐<br>2. გამძლეობის გენეტიკის განყოფილება- ☐<br>3. კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის განყოფილების უფროსი- ☐<br>4. მცენარეთა დაავადების მონიტორინგის, დიაგნოსტიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის განყოფილების უფროსი- ☐ |
| საკონკურსო განაცხადში მითითებულია, რომ **აკმაყოფილებს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს** | მთავარი მეცნიერი თანამშრომელი<br>**(უვადო)**<br><br>☐ | მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (**5 წლის ვადით)**<br><br>☐ | უფროსი მეცნიერი თანამშრომელი<br><br>☐ |

საკონკურსო განცხადების (ანკეტის) და დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოდგენის და საპროცედურო კომისიის მიერ ელექტრონულად დადასტურების შემდეგ **კონკურსანტის მიერ დადგენილ ვადაში** (რიცხვი/თვე/წელი) **მატერიალური სახით** წარმოდგენილი აქვს და უნდა წარედგინოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას:

1. საკონკურსო განაცხადი (ანკეტა) ამობეჭდილი - ☐ ________
2. 2 ფოტოსურათი (ზომა 3X4 ) ☐ _________
3. ----------------------------------------

საპროცედურო კომისია

(წევრის სახელი და გვარი და ხელმოწერა)